

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №31

ქ. თბილისი

01.08.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანაძირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკვაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე; პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნათელა სახოვა - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი ღავთაძე - რექტორი;

ვლადიმერ ადეიშვილი - პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გოდერძი ბუჩაშვილი - პროფესიონალ საგარეო ურთიერთობების დარგში;



დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა კბილცხელაშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი;
ავთანდილ გაგნიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
გოდერძი ბუჩაშვილი
ევატერინე კვირიკაშვილი
ანუელა აბულაძე
ვასილ კიკუტაძე
მარინე ჩავლეიშვილი
ირაკლი გაბრიაძე
გიორგი დაღანიძე
ნინო ზარნაძე
თეონა უუჟუნაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:35 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 10 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია. რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღისწესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ონტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - „დაწყებითი განათლების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.



შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი. წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ონტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - „დაწყებითი განათლების“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებელის მომზადების ონტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „დაწყებითი განათლება“
განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანთა ჯგუფის მასწავლებელი)- 03
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო იქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა წარმომადგენდა მემკვიდრეს მანამდე არსებული 240 კრედიტიანი პროგრამისა, რომლის გამოცდილებაც მორგებულ იქნა ახალ 300 კრედიტიან პროგრამაზე, ახალი სტანდარტების გათვალისწინებით. განსახილველი

პროგრამის ზოგადი შეფასების მიხედვით, პროგრამა 5 სტანდარტიდან აკმაყოფილებდა ოთხს, ხოლო ერთ სტანდარტთან მიმართებაში ფიქსირდებოდა მეტწილი შესაბამისობა. ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა განხორციელდა 240 კრედიტიანი პროგრამის სტუდენტებთან, რომლებთანაც ინტერვიუ ჩატარდა ინგლისურ ენაზე ვინაიდან ჯგუფის თავმჯდომარე და ერთ-ერთი წევრი გახლდნენ საერთაშორისო ესპერტები. ინტერვიუებიდან გამომდინარე გამოიკვეთა ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებული პრობლემები, ამიტომაც შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია, გაზრდილიყო ინგლისური ენის კომპონენტის კრედიტები 15-დან 25 კრედიტამდე. რეკომენდირებული იყო აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობა. ხარისხის სამსახურთან კონსულტაციების შემდგომ ექსპერტები თვლიდნენ, რომ სასურველი იყო ხარისხის სამსახურს შეემუშავებინა ბაზა იმ სამეცნიერო ჟურნალებისა, სადაც აკადემიურ პერსონალს შეეძლებოდა გამოქვეყნებინა პუბლიკაციები. ერთ-ერთი რეკომენდაცია ასევე შეეხო პროგრამის საერთაშორისო პროფილის განვითარებას, რეკომენდირებული იყო მეტი ყურადღება დათმობოდა ფაკულტეტის საერთაშორისო პუბლიკაციებს და დაწესებულების ხედვას, რომელიც გულისხმობდა რეგიონში წამყვან პოზიციაზე ყოფნას. აქედან გამომდინარე, პუბლიკაციები გაზრდიდა საერთაშორისო დონეზე დაწესებულების პოპულარიზაციას. რეკომენდირებული იყო მონიტორინგის მექანიზმი გამხდარიყო მოქნილი და მოეცვა შიდა და გარე შეფასებების მონაცემებს შორისისი ანალიზი. ამასთანავე, დაწესებულებას მკაფიოდ უნდა განესაზღვრა ეფექტური მასწავლებლის პრინციპები, რის საფუძველზეც სკოლები აირჩევდნენ მასწავლებლებს პრაქტიკის კომპონენტებისათვის.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდირებული იყო მონიტორინგის სისტემის მოქნილობის ზრდა შიდა და გარე შეფასებასთან მიმართებაში ფაკულტეტის პუბლიკაციების ირგვლივ, რაც გულისხმობდა, რომ მონაცემები უნდა აღრიცხულიყო სტატისტიკურად იმისათვის რომ გაზრდილიყო კვლევის გამოყენება და პროდუქტიულობა. აღნიშნული ნიშნავდა, რომ მდგრადი პროფესიული განვითარება შესაძლებელი იყო მიღწეულიყო რეგულარული ანალიზის და სტატისტიკური კვლევების შედეგად, სისტემურად, ვიდრე ეს ადრე იყო. კვლევა შევსებული შეიძლებოდა ყოფილიყო ხარისხობრივი მეთოდებით, მაგალითად გადამოწმებულიყო პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძირითადად ყველა რეკომენდაცია მისაღები იყო და მოხდებოდა მათი გათვალისწინება. მან ისაუბრა იმ საკითხებზე, რაც უკვე შესრულებულ იქნა დაწესებულების მიერ. უცხო ენის კომპეტენციების ამაღლებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, პროგრამაში ერთი სემესტრი გათვალისწინებული ყოფილიყო დარგის უცხოენისათვის. საერთო ჯამში უცხო ენას დაეთმობოდა 20 კრედიტი. ამასთანავე, მომავალი წლიდან იგეგმებოდა გაზრდილიყო ეროვნული გამოცდების შედეგად პროგრამაზე მიღებულ სტუდენტთა უცხო ენაში არსებული კომპეტენციის ზღვარიც. პროგრამის ფარგლებში იგეგმებოდა სტუდენტებისათვის შეთავაზებული ყოფილიყო მინიმუმ 2 საგანი უცხო ენაზე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას საერთაშორისო პუბლიკაციებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადადგმული იქნა და ხარისხის სამსახურს უკვე დაწყებული პერიოდა მუშაობა ჟურნალების ბაზის შექმნაზე, რეკომენდაციის საფუძველზე. რაც შეეხებოდა უცხო ენის ცოდნის დონეს, უკეთესი მდგომარეობა იყო ახალ თაობაში და პროგრამაზე მათი შესვლით იზრდებოდა შანსი, რომ ფაკულტეტი წარდგენილი ყოფილიყო საერთაშორისო პუბლიკაციებით. ამასთანავე არსებობდა თანამშრომლობა



უცხოურ დაწესებულებებთან, მაგალითად მასარიკის უნივერსიტეტთან, რის საფუძველზეც არსებობდა შეთანხმება პუბლიკისტის განთავსებაზე მათ გამოცემებში.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, რა კვალიფიკაცია ენიჭებოდა სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.

ექსპერტმა უპასუხა, რომ კვალიფიკაცია იყო - განათლების მაგისტრი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქია დაინტერესდა, ვინაიდან პროგრამა ინტეგრირებული იყო, შეეძლო თუ არა სტუდენტს ბაკალავრის დონეზე დაესრულებინა სწავლება.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან პროგრამა რეგულირებადი იყო და საჭირო იყო 300-ივე კრედიტის ათვისება დიპლომის მისაღებად.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, რა იყო დასაქმების ძირითადი სფეროები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დასაქმების სფეროს წარმომადგენდა სკოლა. პროგრამა ითვალისწინებდა პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადებას. პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით მასწავლებელს შეეძლებოდა სკოლაში ესწავლებინა სამი საგანი - ქართული ენა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, ხოლო მეცნიერებების მეექვსე კლასებში ის მოსწავლეებს შეასწავლიდა ერთ-ერთ საგანს აღნიშნული სამიდან.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე ადამიანი მოისურვებდა აერჩია კონკრეტული სფერო, რომელიც გათვალისწინებული არ იყო პროგრამით, შეეძლო თუ არა მას პროფესიული უნარების ჩაბარების შემდეგ ესწავლებინა სკოლაში მის მიერ არჩეული სფერო.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ ამისათვის მას უნდა დაემთავრებინა დამოუკიდებლად არსებული ერთწლიანი პროგრამა

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის ე.წ აქილევსის ქუსლი იყო ბუნებისმეტყველების სწავლება. პრაქტიკა აჩვენებდა, რომ სკოლებში მასწავლებლები რეალურად ბუნებისმეტყველებას ასწავლიდნენ დაშლილს სხვადასხვა სფეროებად და არა როგორც ერთიან მიმართულებას. მან იკითხა, როგორი იყო დაწესებულების ხედვა იმასთან დაკავშირებით, შეემნიდა თუ არა ეს პროგრამა ახალი ტიპის მასწავლებელს, რომელსაც ექნებოდა შესაბამისი კომპეტენცია სწორად ესწავლებინა საგანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისას დაწესებულება დაეყრდნო დარგობრივ სტანდარტს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის სტანდარტს. ბუნებისმეტყველების სასწავლო კურსები, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ელემენტით იქნებოდა ეს ფიზიკის, ქიმიის თუ ასტრონომიის, პროგრამაში საკმაო რაოდენობით იყო შესული და ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებდა მათი სწავლების მეთოდიკასაც, ამიტომაც პროგრამის დასრულების შემდგომ სტუდენტს ჰქონდა შესაბამისი კომპეტენცია ესწავლებინა კონკრეტული საგანი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მისი კითხვა შეეხებოდა შეძლებდა თუ არა პროგრამის კურსდამთავრებული ესწავლებინა ბუნებისმეტყველებაში შემავალ დარგებს შორის ბმები და კავშირები, რასაც რეალურად ითვალისწინებდა საგანი და არა ცალ-ცალკე დარგები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საუბარი იყო პირველ-მეოთხე კლასებზე, სადაც დრმად ფიზიკისა და ასტრონომიის სწავლება არ ხდებოდა. რაც შეეხებოდა მეცნიერებული კლასებს, აქაც აღნიშნული სფეროები მცირე დოზით ისწავლებოდა. მას ესმოდა რომელ პრობლემაზეც მიუთითებდა საბჭოს წევრი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფში პროგრამა ტოვებდა განცდას, რომ ის შეძლებდა მოემზადებინა ახალი თაობის მასწავლებელი.

1. ლ. სარგი

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ სკოლაში, მეხუთე და მეექვსე კლასში მთავარი იყო მასწავლებელს მოსწავლისათვის აღნიშნული სფეროების მომავალში სწავლის ინტერესი გაედვივებინა და პროცესი არ გაყინულიყო მხოლოდ კონკრეტული მწირი ინფორმაციების მიწოდებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ისე იყო სტრუქტურირებული, რომ ორიენტირებული იყო თავად პედაგოგის შესმლებოდა თავისი თავის განვითარება, რაც ზრდიდა საერთო ჯამში პროდუქტიულობას.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ ზოგადად პროგრამა კარგად იყო სტრუქტურირებული, თუმცა მას ჰქონდა რამოდენიმე კოლეგიალური რჩევა. მართალია პროგრამას ცალკე ბლოკად ჰქონდა პრაქტიკისა და კვლევის ბლოკი, თუმცა გაუგებარი მიზეზით ერთი კვლევის კურსი მოხვედრილი იყო პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ბლოკში, ხოლო მეორე კურსი - დიფერენცირებული სწავლება და კვლევის დიაგნოსტიკა - რომელიც არსით სასწავლო კურსი იყო ამ ბლოკში არ მოხვედრილა. მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა თუ კურსებს გადაწყვეტილებოდა ადგილები. მან თქვა, რომ კურსში - კვლევა მრავალფეროვან გარემოში - აქცენტი კეთდებოდა მულტიკულტურულ გარემოზე, რაც შეზღუდული ხედვა იყო, რადგანაც მრავალფეროვნება მხოლოდ მულტიკულტურალიზმს არ მოიცავდა. კურსში - კვლევის ინოვაციური მეთოდები - გაერთიანებული იყო კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. შესაძლებელი იყო მომხდარიყო აღნიშნული კურსის გაყოფა და რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების ცალ-ცალკე სწავლება. ამასთანავე, შეიმჩნეოდა არჩევითი კურსების სიმცირე.

16:00 საათზე სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნათელა სახოვია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არჩევით კურსებს ეთმობოდა 10 კრედიტი.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ სტუდენტებს უნდა მისცემოდათ საშუალება ჰქონოდათ გაღრმავებული კურსები არჩევითად. პროგრამის დადებითი მხარე იყო ჩაშენებული პრაქტიკის არსებობა, თუმცა როდესაც ხდებოდა კურსში ჩაშენება სასკოლო პრაქტიკის კომპონენტისა, აუცილებელი იყო ეს კომპონენტი შეფასებულიყო. შეფასების სისტემა ყველა კურსში იყო უნიფიცირებული, რაც როგორც ჩანდა დაწესებულების მოთხოვნა იყო. აუცილებელი იყო შერფასება ყოველი კურსისთვის ყოფილიყო სპეციფიკური და შეფასებულიტო რამდენად მიიღწეოდა კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოთხოვნა იყო შეფასება ყოფილიყო მრავალფეროვანი და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ როგორც პროგრამაში, ასევე კურსებში სწავლის შედეგების ჩამონათვალიც საკმაოდ ბევრი იყო და ზოგიერთ შემთხვევაში კურსში შეთავაზებული თემატიკები ვერ უზრუნველყოფდნენ ამ შედეგებზე გასვლას. ასევე რჩევა იყო კურსში - სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ორგანიზაცია. შეფასების დიდაქტიკური საფუძვლები თემატიკის თანმიმდევრობა შცვლილიყო. მაგ. გაკვეთილის დაგეგმვის თემა კურსში შედიოდა მეხუთე ლექციაზე, რაც არღვევდა თანმიმდევრულობას. საჭირო იყო უფრო სტრუქტურირებულად აგებულიყო სილაბუსი.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოვიამ განაცხადა, რომ განათლების პოლიტიკის სილაბუსში ერთ საათში ისწავლებოდა ადრინდელი, სკოლამდელი და ზოგადი განათლების სტრატეგიები, რაც იმ ფონზე რომ პროგრამა სკოლის მასწავლებელს ზრდიდა იყო ძალიან მცირე დრო. ასევე, მსოფლიო და ქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკაში გაუგებარი რჩებოდა რა იგულისხმებოდა მსოფლიო პოლიტიკაში.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ პროგრამაში არ იყო გამახვილებული ყურადღება მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ ისეთ თემებზე, როგორიც იყო - კონფლიქტების პრევენცია და მართვა, მდგრადი განვითარების პრინციპები, პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. შესაძლო იყო აღნიშნული საკითხები რეალობაში ყოფილიყო შესწავლილი, თუმცა ეს არ ჩანდა სილაბუსებში. ასევე რჩევა იყო, რომ მოძველებული ლიტერატურა სასწავლო რესურსებიდან ყოფილიყო ამოღებული.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოვაიამ განაცხადა, რომ პროგრამაში შეინიშნა, რომ სიტყვა „წიგნიერება“ ნახსენები იყო მხოლოდ ორ ადგილას, მაშინ როდესაც წიგნიერება საფუძველს წარმოადგენდა დაწყებითი კლასების საფეხურისათვის. შესაძლოა ეს იგულისმებოდა, მაგალითად ისეთ ტერმინებში როგორიც იყო „კითხვის სწავლება“, „წერის სწავლება“, თუმცა ტერმინი „წიგნიერება“ უკვე დამკვიდრებულ ტერმინის წარმოადგენდა და უმჯობესი იქნებოდა მისი გამოყენება.

16:07 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:16 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - „დაწყებითი განათლების“ აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 27¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - „დაწყებითი განათლება“ 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 9 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ ცენტრმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი.



ა. სულიერი
აკაკი წერეთლი

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტის რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე განსახილების საკითხთან მიმართებაში განაცხადა აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის. როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო აჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებული იყო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების „მათემატიკა 1“ და „მათემატიკა 2“ მიზნები და სწავლის შედეგები გამოიჯენულიყო ერთმანეთისაგან და დაკონკრეტულიყო ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე;
- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსებში „მენეჯერული ფინანსები 1“ და „მენეჯერული ფინანსები 2“ დაკონკრეტულიყო თუ როგორ იძენდა სტუდენტი მოცემული კურსების გავლის შემდეგ ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის უნარებს;
- რეკომენდებული იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში: „მათემატიკა 1“, „მათემატიკა 2“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „საჯარო ფინანსები“, „რისკების მართვის საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულ ლექტორის კონსპექტს ან რიდერს თან დართვოდა

წყაროს მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, კერძოდ, გამოცემის წლები და ავტორების შესახებ ინფორმაცია;

- რეკომენდებული იყო სილაბუსებში მითითებული ყოფილიყო არა მარტო სილაბუსის ავტორები, არამედ მათი განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალიც;
- რეკომენდებული იყო სილაბუსებში მითითებული ყოფილიყო არა მარტო სილაბუსის ავტორები, არამედ მათი განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალიც;
- რეკომენდებული იყო პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტებად შეთავაზებული ყოფილიყო პრაქტიკის და სამაკალავრო ნაშრომის კომპონენტები, რაც ექსპერტის განცხადებით განიხილებოდა არჩევითად.
- რეკომენდებული იყო, დაკორექტირებულიყო საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში გაწერილი შეფასების წესი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მე-№3 ბრძანების შესაბამისად ანუ შეფასებისათვის გამოყენებული ყოფილიყო შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები;
- რეკომენდებული იყო სტუდენტებისათვის არჩევითი სასწავლო კურსის სახით შეთავაზებული ყოფილიყო პრეკალკულუსის სასწავლო კურსი, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში ისარგებლებდნენ ის სტუდენტები, რომლებსაც მისაღებ ეროვნულ გამოცდებზე მათემატიკა არ ჩაუბარებიათ ან უჭირდათ მათემატიკის სწავლა;
- ვინაიდან, პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭებოდათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ფინანსებში, შესაბამისად რეკომენდებული იყო, პროგრამის არჩევითი დისციპლინების ბლოკიდან სასწავლო კურსი „რისკების მართვის საფუძვლები“ და „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ გადასულიყო სავალდებულო დისციპლინების ბლოკში;
- რეკომენდებული იყო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს „მაკროეკონომიკას“ წინაპირობად განსაზღვროდა „მიკროეკონომიკის“ სასწავლო კურსი, „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“-ს სასწავლო კურსის წინაპირობად უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო „მათემატიკა 2“. ხოლო ბიზნეს ინგლისური I-ის წინაპირობად საჭირო იყო განსაზღვრულიყო ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;
- რეკომენდებული იყო იმ სასწავლო კურსების სილაბუსებში, სადაც გამოყენებული იყო სააუდიტორო საქმიანობის შეფასების 10 ქულიანი კომპონენტი, მომხდარიყო აღნიშნული 10 ქულის დეტალური რანჟირება, ცალკეული ქულების დონეზე;
- რეკომენდებული იყო, პროგრამის მდგრადობის გაზრდის მიზნით გრძელვადიან პერიოდში გაზრდილიყო პროგრამაში ჩართული პროფილური (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების) აკადემიური პერსონალის რიცხვი: საუბარი იყო იმაზე, რომ ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით პერსონალზე მომხდარიყო აქცენტირება.
- რეკომენდებული იყო, პრაქტიკული სწავლების გაძლიერების მიზნით, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში: „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „ფინანსების საფუძვლები“, „საბანკო საქმის საფუძვლები“, „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“ სასწავლო საათები განაწილებულიყო შემდეგი ონაფარდობით: 1 ლექცია, 2 სემინარი, ნაცვლად 2 ლექცია 1 სემინარი - თანაფარდობისა; საბჭოს თავმდჯომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.
- დაწესებულების წარმომადგენელმა სასწავლო კურსების „მათემატიკა 1“ და „მათემატიკა 2“ მიზნები და სწავლის შედეგების გამიჯვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ლექტორთან



შეხვედრის შემდგომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულ იქნა. რეკომენდაციზე რომელიც შეეხებოდა კურსებს - „მენეჯერული ფინანსები 1“ და „მენეჯერული ფინანსები 2“, განაცხადა, რომ კონსულტაციების შედეგად და სილაბუსის გადახედვის შედეგად დადგინდა. რომ აღნიშნულ კურსებში შეფასების კომპონენტში პრეზენტაცია, რომელსაც წარმოადგენდა 3-4 სტუდენტი, წარმოადგენილი იყო საკმაოდ დიდი წილით. სტუდენტებს განაწილებული ჰქონდათ სამუშაო თემები, იქმნებოდა პროექტი და ხდებოდა მისი წარდგენა. აღნიშნული კომპონენტი სავალდებულო იყო ყველა სტუდენტისთვის

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა ლექტორის კონსერტის ან რიდერის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის მითითებას განაცხადა, რომ აღნიშნული შესრულებული იქნა დაწესებულების მიერ. რაც შეეხებოდა სილაბუსებში საგნის წამკითხველი პერსონალის მითითებას, აღინიშნა რომ როდესაც დაწესებულება იღებდა სტუდენტთა გარკვეულ რაოდენობას და ხდებოდა ახალი ჯგუფის გახსნა, ზოგჯერ ხდებოდა პერსონალის მოწვევა. ხარვეზი იმაში მდგომარეობდა რომ სილაბუსში არ იყო მითითებული მოწვეული ლექტორი. პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის არჩევითობის შესახებ არსებულ რეკომენდაციაზე აღინიშნა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა პრაქტიკის გავლას დამამთავრებელ სემესტრში, რომელიც მოიცავდა 10 კრედიტს. შესაძლებელი იყო პრაქტიკის შეცვლა საბაკალავრო ნაშრომით. აღნიშნული ჩანაწერი იძებნებოდა სწავლების ორგანიზების თავისებურებების ნაწილში. პრაქტიკის ნაწილი იყო სავალდებულო და მხოლოდ პროფესიით დასაქმებული სტუდენტებისათვის იყო შესაძლებელი პრაქტიკის ნაცვლად საბაკალავრო ნაშრომის აღება. ხოლო, რაც შეეხებოდა საბაკალავრო ნაშრომის ორჯერადი შეფასების საკითხს, აღნიშნული გაფლერებულ იქნა საბჭოს გასულ სხდომებზეც და დაწესებულებაში ნაშრომი ფასდებოდა ორჯერ. პრეკალკულუსის კურსის არჩევითი კურსის სახით სტუდენტებისათვის შეთავაზების შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტატისტიკის გადახედვის შემდგომ ცხადი გახდა, რომ სტუდენტებს კალკულუსის კურსის გავლასთან დაკავშირებით პრობლემები არ ჰქონდათ, ამიტომაც დაწესებულება ვერ ხედავდა საჭიროებას დაემატებინათ პრეკალკულუსის კურსი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ სწავლებაში გაზრდილი იყო მათემატიკის საათების მოცულობა და გარდა ამისა კვირაში 2 საათი ეთმობოდა საკონსულტაციო საათებს, რისი გამოყენებაც სტუდენტებს შეეძლოთ ამ კუთხით პრობლემების შემთხვევაში. რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნებოდა, თუ მომავალში კალკულუსის გავლასთან დაკავშირებით სტუდენტებს შეექმნებოდათ პრობლემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეცხრე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების საფარელზე „რისკების მართვის საფუძვლების“ კურსი გადავიდოდა სავალდებულო კურსების ბლოკში, ხოლო „საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლები“ კვლავაც შეინარჩუნებდა არჩევით სტატუსს. კურსების წინაპირობების შესახებ არსებულ რეკომენდაციაზე აღინიშნა, რომ ბიზნეს ინგლისური I-ის წინაპირობა გახდებოდა ინგლისური ენის B1 დონე და ბიზნეს ინგლისურის კურსი კი სტუდენტებს გაიყვანდა ინგლისური ენის B2 დონეზე. რაც შეეხებოდა სტატისტიკის კურსის წინაპირობას, როგორც გასულ სხდომებზეც იქნა დაფიქსირებული დაწესებულების მიერ, კურსი იყო ორსემესტრიანი და პირველი ნაწილი არ საჭიროებდა წინაპირობას. რაც შეეხებოდა მიკრო და მაკრო ეკონომიკას, უმეტესად ისინი ისწავლებოდა შემდგომი თანმიმდევრობით - მიკრო ეკონომიკა და მაკრო ეკონომიკა, თუმცა იყო შემთხვევები როდეს ეს თანმიმდევრობა ირღვეოდა. ყოველივე დამოკიდებული იყო იმაზე როგორ წარკითხავდა კურსს თავად ლექტორი. ლექტორი რომელიც კურსს კითხულობდა აუცილებლობად არ მიიჩნევდა მაკროეკონომიკის



წინაპირობა ყოფილყო სასწავლო კურსი - მიკროეკონომიკა. სილაბუსებში 10 ქულიანი კომპონენტის რანჟირების თემაზე, აღინიშნა, რომ თითო ქულით ფასდებოდა 10 შეხვედრა, ხოლო ერთი ქულის რანჟირება იყო შემდეგი - 0; 0.5; 1.

რაც შეეხებოდა პროფილური მიმართულებით აკადემიური პერსონალის რიცხვის ზრდას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც ადრეც იქნა აღნიშნული, გამოცხადებული იყო კონკურსი აკადემიურ მიმართულებებზე. ფინანსების მიმართლებით დაწესებულებას პერსონალში პრობლემა არ ექმნებოდა, მას ჰყავდა 5 ასოცირებული პროფესორი. გარდა ამისა 3 პროფესორი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით და ყველა მათგანი იყო აფილირებული. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას რომელიც ითვალისწინებდა კურსებში : „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“, „ფინანსების საფუძვლები“, „საბანკო საქმის საფუძვლები“, „ფასიანი ქაღალდების ბაზარი“ სასწავლო საათების შემდეგი თანაფარდობით გადანაწილებას: 1 ლექცია, 2 სემინარი, განაცხადა, რომ რეალურად ეს რეკომენდაცია მნიშვნელოვანი იქნებოდა თუ ლექციასა და სემინარზე წარმოდგენილი იქნებოდა სტუდენტების განსხვავებული რაოდენობა. პროცესი იყო შემდეგი: პირველი საათის მანძილზე სტუდენტები ისმენდნენ ლექციას, ხოლო მეორე საათზე გადადიოდნენ კომპიტერებთან, თუმცა პარალელურ რეჟიმში შესაძლოა პროფესორს ჩაერთო ახსნითი ნაწილის პრაქტიკული მუშაობისას.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ რეალურად აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, რადგან სახეზე არ იყო დიდი ჯგუფები. უმჯობესი იქნებოდა თუ ნაცვლად ლექციისა და სემინარისა, გამოყენებული იქნებოდა ტერმინი „შეხვედრა“, რაც კითხვებს მოხსნიდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მოსაზრებები ემსახურებოდა პროგრამის გაუმჯობესებას. უცნაური იქნებოდა დაწესებულების მიერ ნახსენები წყობა მაკროეკონომიკის შემდგომ მიკროეკონომიკაზე გადასვაზე. ბევრად უფრო ლოგიკური იყო მომხდარიყო სვლა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რომ ნახსენები რეკომენდაციები მოცემული დაწესებულების შემთხვევაში ფაქტობრივად მეორდებოდა ყველა განხილულ პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მოკლე პერიოდში საბჭოზე განსახილველად გამოვიდა უნივერსიტეტის ბიზნესის მიმართულების რამდენიმე პროგრამა ის კომპლექსური შენიშვნები რომელიც მას გაჩნდა უნივერსიტეტის მიმართ წინა საბჭოს სხდომებზე გააქცია და აღარ გამეორდებოდა. ასევე მან განაცხადა, რომ სილაბუსებში კრედიტების და საათობრივ ნაწილში ტექნიკური შეცდომა იყო რაც უნივერსიტეტის მხრიდან ადვილად გამოსწორდებოდა. მაგალისთვის მოიყვანა ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების სილაბუსი და განაცხადა, რომ საჭირო იყო მისი ჩასწორება.

დაწესებულების წარმომადგენელმა სთხოვა საბჭოს წევრს გაეხსნა სილაბუსი, რადგან მას უჭირდა მიმხვდარიყო რა სახის ხარვეზზე იყო საუბარი. საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დაწესებულების წარმომადგენელს აჩვენა კონკრეტული სილაბუსი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის ნათელი გახდა თუ რაზე ამახვილებდა საბჭოს წევრი ყურადღებას.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ დაწესებულების ხედვა, რომ აღებული ჰქონდა პირველი ოთხი სემესტრი კონკრეტული პაკეტი საგნებისა, რომელსაც სთავაზობდა სტუდენტებს ბიზნესის რამდენიმე პროგრამაზე გასაგები იყო, თუმცა მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა განსხვავებული პროდუქტის შეთავაზება მიმართულებების მიხედვით.



ასევე ყურადღება უნდა გამახვილებულიყო დატვირთვაზე, მაგ. პირველ სემესტრში ყველა საგანი იყო 5 კრედიტიანი იგივე აკადემიური წერა, ბიზნესის საფუძვლები და სხვა. მნიშვნელოვანი იყო დატვირთვის და შინაარსის გათვალისწინება საგნების მიხედვით სპეციალობებიდან გამომდინარე. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მისი აზრით პროგრამას აკლდა არჩევითი საგნებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ პროგრამაში ჩადებული იყო 12 არჩევითი საგანი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ზოგადად რაოდენობა შეიძლება ბევრი იყო უნივერსიტეტის კურსულულმში. მაგრამ უნივერსიტეტის მიერ სემესტრულად დალაგებულ პაკეტებში მათი რაოდენობა შეზღუდული და ერთფეროვანი იყო. სტუდენტებს ორიენტირება შესაძლოა გასჭირვებოდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა. რომ გასაგები იყო შეხედულება, თუმცა სტუდენტებისათვის კონსულტაციის გაწევა მუდმივად ხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენლები დამატებითი დატვირთვის ხარჯზე სტუდენტებს მაქსიმალურ დახმარებას უწევდნენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისი აზრით ფინანსების კონცენტრაციაზე მენეჯერული აღრიცხვა უნდა ყოფილიყო სავალდებულო. ამასთანავე, ფინანსური მათემატიკის კურსი იწყებოდა ოფციონების და წარმოებული ფასიანი ქაღალდების შეფასებით. სასურველი იქნებოდა თუ საგანი გაფართოვდებოდა და სხვა უფრო მარტივ თემატიკასაც მოიცავდა. ოფციონების შესწავლა მისასალმებელი იყო მაგრამ სავარაუდო იყო რომ ქართველ სტუდენტს ნაკლებად გამოადგებოდა პრაქტიკაში ოფციონების დირებულების დათვლა ფინანსური მათემატიკის ბევრ სხვა საკითხთან შედარებით. ამასთანავე კონცენტრირება უნდა მომხრდარიყო ფინანსების მიმართულებით საგნების რაოდენობის გაზრდაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამჟამად პროგრამაზე იყო 70 სტუდენტი, რომელთა 60% იყო გრანტის მფლობელი. ბევრი მათგანი სწავლას აგრძელებდა მაგისტრატურაზე და რამდენიმე მათგანმა მიიღო გრანტი ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში. პროგრამა იყო წარმატებული და ამასთანავე შიდა და გარე მობილობის დროსაც სტუდენტების მხრიდან მოთხოვნა იყო საკმაოდ დიდი.

საბჭოს თავმჯდომარებრ, აღნიშნა, რომ უკვე რამოდენიმე სხდომა იყო რაც აღნიშნული დაწესებულების პროგრამები განიხილებოდა და იკვეთებოდა, რომ ყველა პროგრამას ბიზნესის და ფინანსური მიმართულებით ხელმძღვანელობდა ერთი და იგივე პიროვნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახლობელი მიმართულებები ერთიანდებოდა დარგობრივ კომიტეტში და თუ გადაწყვეტილება იყო მისაღები ხდებოდა დარგების მიმართულებით, სპეციალისტების ჩართულობით. ხელმძღვანელი კი უწევდა ზოგად კოორდინირებას, თანაც სხვა თანახელმძღვანელებთან ერთად. ამასთანავე პროგრამების უმრავლესობა რეალურად დუბლირებას წარმოადგენდა, რადგანაც იყო როგორც ქართული, ასევე ინგლისური.

საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ საჭირო იყო განმარტებულიყო მიკრო და მაკრო ეკონომიკის მიმართულებით არსებული საკითხი, რადგანაც რთული იქნებოდა შედარებისათვის მშენებელს სახლის მშენებლობა სახურავიდან დაეწყო. არსებობდა გარკვეული თანმიმდევრობა, რაც საჭიროებდა დაცვას.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება ჯერ მიკრო ეკონომიკას ასწავლიდა და შემდგომ მაკრო ეკონომიკას, თუმცა მაინც არ მიაჩნდა საჭიროდ მაკროეკონომიკის წინაპირობად მიკროეკონომიკის განსაზღვრა, თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში ამაზე მსჯელობა შესაძლებელი იქნებოდა.

17:06 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17:25 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -10

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას წელიწადნახევრის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებული კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე განსახილველ საკითხთან მიმართებაში განაცხადა აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ პკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული მირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია გახლდათ, მეტი ყურადღება დათმობოდა სამაგისტრო ნაშრომებში სტანდარტის დაცვას, რადგან სამაგისტრო ნაშრომებში შეინიშნებოდა ერთფეროვნება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, დაცული იყო თუ არა აკადემიური წერის და ერთიანი წერის სტანდარტი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული ეხებოდა კვლევით კომპონენტს, მის გაწერას, რაც რაოდენიმე ნაშრომში დაცული და წარმოდგენილი იყო სათანადოდ, თუმცა იყო ნაშრომები სადაც აღნიშნული არ შეინიშნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული იმით იყო გამოწვეული რომ ზოგიერთი ნაშრომი ძველი დებულების და სტანდარტის მიხედვით იყო შესრულებული. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოამდგინა სამაგისტრო სწავლების დებულება და ნაშრომის დებულება.

ექსპერტმა განაცხადა რომ საჭირო იყო გაზრდილიყო პრაქტიკის კომპონენტის კრედიტები 10-მდე, რადგანაც 5 კრედიტიანი პრაქტიკის კურსი ვერ პასუხობდა იმ დატვირთვეს რაც რეალურად კურსს გააჩნდა. რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ სილაბუსში დაკონკრეტებულიყო, როგორ უვითარებდა აღნიშნული სასწავლო კურსი სტუდენტებს „მონაცემთა მოძიებისა და ანალიზისათვის სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების (SPSS, EndNote, Zoter, ა.შ.)“ უნარებს. რეკომენდებული იყო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები (მენეჯერული ეკონომიკა, რაღდენობრივი ანალიზი ბიზნესისთვის, ბიზნესის კვლევის მეთოდები, ფინანსური მენეჯმენტი, საბანკო მენეჯმენტი) პროგრამაში არსებული სხვა სტანდარტული სასწავლო კურსების მსგავსად წარმოდგენილი ყოფილიყო 6 ან 8 კრედიტიანი კურსების სახით ნაცვლად 10 კრედიტისა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა დაზუსტებულიყო, მოითხოვდა თუ არა აღნიშნული კურსების შინაარსი 10 კრედიტის მოცულობით სწავლებას, რადგან თუ ეს ასე იყო, მისი შემცირების საჭიროება აღარ დადგებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შედარება მოხდა პროგრამაში არსებულ 6-8 კრედიტიან საგნებთან და ჯგუფს მიაჩნდა რომ აღნიშნული საგნებიც თავისუფლად ჩაჯდებოდა იგივე მოცულობაში, რაც ხელს შეუწყობდა პროგრამას გამოეთავისუფლებინა ადგილი სხვა საგნების დამატებისათვის. რადგანაც კვალიფიკაციაში ფიქსირდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი და არა მხოლოდ ფინანსების მაგისტრი, ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ პროგრამაში ბიზნესის ადმინისტრირების ნაწილი სუსტად იყო წარმოდგენილი და საჭირო იყო კურსების დამატება ამ მიმართულებით. ასევე რეკომენდებული იყო, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული ყოფილიყო ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის შემდეგი სასწავლო კურსები: „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „სტრატეგიული მენეჯმენტი“ და „სტრატეგიული HR მენეჯმენტი“. აღნიშნული დისციპლინების გათვალისწინება შესაძლებელი იყო პროგრამის სავალდებულო 10 კრედიტიანი სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მოცულობის შემცირების ხარჯზე.

ექსპერტმა თქვა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულების კვლევითი უნარების გაუმჯობესებისა და შესაბამისად კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით რეკომენდებული იყო სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება. რეკომენდებული იყო განხორციელებულიყო პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების ამსახველი ქულების დეტალური რანჟირება, კერძოდ, ბუნდოვანი იყო მაგალითად, სტაჟირების დროს დახარჯული ძალისხმევა, რომელიც სილაბუსის მიხედვით ფასდებოდა მაქსიმუმ 15 ქულით, რა შემთხვევაში შეიძლებოდა შეფასებულიყო უფრო დაბალი ქულით. რეკომენდებული იყო, განხორციელებულუყო სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების ამსახველი ქულების დეტალური რანჟირება, კერძოდ, ბუნდოვანი იყო მაგალითად, კვლევის აქტუალობის კურსში, რომელიც სილაბუსის მიხედვით ფასდებოდა მაქსიმუმ 10 ქულით, რა შემთხვევაში შეიძლებოდა შეფასებულიყო უფრო დაბალი ქულით. რეკომენდებული იყო, პროგრამის აკადემიური რესურსის მდგრადობის ამაღლების მიზნით გაზრდილიყო პროგრამაში ჩართული პროფილური (ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების) აკადემიური პერსონალის რიცხვი. რეკომენდებული იყო სასწავლო კურსის „მენეჯერული ეკონომიკა“ სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სრულფასოვნად მომხადრიყო აღნიშნული დისციპლინის სწავლის შედეგების მიღწევა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გამოყენებული იყო ხარისხობრივად კარგი წიგნი, თუმცა ის იყო 1999 წელს გამოცემული და



არსებობდა ბევრად თანამედროვე ვერსიებიც, ამიტომაც უმჯობესი იქნებოდა ლიტერატურის გადაახლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 1999 წელს ნაგულისხმევი სახელმძღვანელოს ქართული ვერსია იყო გამოცემული, თუმცა სილაბულში იქვე იყო მითითებული 2012 წლის ინგლისურენოვანი ვერსიაც. უფრო ახალი იყო 2018 წლის ვერსია, რომელსაც დაწესებულება შეიძენდა. პრაქტიკის კომპონენტის კრედიტის გაზრდასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ 10 კრედიტიანი პრაქტიკის გამოცდილება დაწესებულებას ჰქონდა, თუმცა კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შემდგომ და იმის გათვალისწინებით რომ სამაგისტრო პროგრამა არ გამოირჩეოდა კრედიტის დიდი რაოდენობით მოხდა მისი შემცირება. აღნიშნული 2 წელია ხორციელდებოდა და დაწესებულებას შეველ პრაქტიკაზე დაბრუნება არ სურდა მალევე, რადგანაც უმჯობესი იქნებოდა ჯერჯერობით დაკვირვება განხორციელებულიყო და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკის კურსი გაიზრდებოდა კვლავაც 10 კრედიტამდე.

სასწავლო კურსის „ბიზნესის კვლევის მეთოდები“-ის მიერ მონაცემთა მოძიების და ანალიზის უნარების განვითარებასთან დაკავშირებით ისაუბა თავად საგნის ლექტორმა, რომელმაც განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკასთან დაკავშირებით, პირველი ლექცია იწყებოდა სწორედ გზამკვლევის გაცნობით სტუდენტებისათვის. განიხილებოდა სილაბუსი და კურსის მსვლელობისას ნებისმიერი აქტივობა პირდაპირ დაკავშირებული იყო გზამკვლევის კომპონენტებთან. სტრუქტურასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ყველა სპეციალობის სტუდენტებს ბოლო სემესტრის დასაწყისში შეახსენებდნენ თუ რა სტრუქტურას უნდა გაყოლოდნენ, რა მოეთხოვებოდათ და რა კომპონენტები უნდა შექმნილიყო. სტუდენტებს დეტალურად ეცნობოდათ ნაშრომის ჩაწილების რაობა და აგების წესი. რაც შეეხებოდა საგნის მოცულობას, მან თქვა, რომ მას შეეძლო საათობრივი წარდგენის საფუძველზე დაესაბუთებინა რომ მოცემულ საგანს სჭირდებოდა 10 კრედიტი. სტუდენტს საშუალოდ კვირაში 30 გვერდი ჰქონდა წასაკითხი და გასაანალიზებელი. უცხოური გამოცდილებითაც, მაგალითად ინგლისში, სადაც განათლება მიიღო დაწესებულების წარმომადგენელმა კვლევის მეთოდოლოგიას დათმობილი ჰქონდა 20 საათი. გასათვალისწინებელი იყო საშინაო დავალებებიც. ზოგჯერ კურსის ფარგებში საჭირო იყო აკადემიური წერის ტექნიკების შეხსენებაც საჭიროებიდან გამომდინარე. რაც შეეხებოდა SPSS, EndNote, Zotero-ს ამის ჩვენება ხდებოდა სტუდენტებისათვის რასაც, ბუნებრივია ცალკე დრო ესაჭიროებოდა, ხდებოდა მისი გამოყენების ახსნა და სტუდენტები მირითადად იყენებდნენ Zotero-ს ან Word-ის დოკუმენტს. სტუდენტებს ეძლეოდათ დავალებები და უნდა მოეხდინათ დემონსტრირება რომ ისინი ნამდვილად გაეცნენ პროგრამას და შეისწავლეს მუშაობის პრინციპი. რაც შეეხებოდა სხვა საგნების ლექტორებს, რომლებიც ასევე 10 კრედიტიანი იყო, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ლექტორები ასევე თვლიდნენ რომ საგანს ესაჭიროებოდა აღნიშნული კრედიტების მოცულობა. დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ამ კურსებთან დაკავშირებით მიღვინა იყო სხვანაირი, მეტი იყო საკონტაქტო საათების რაოდენობაც, ამ შემთხვევაში არა 2-3 საათი სხვა კურსების მსგავსად, არამედ 4.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ დემონსტრირებისათვის გამოთვალა, რომ სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობისათვის 10 კრედიტიანი საგნის შემთხვევაში დღეში ესაჭიროებოდა 2 საგანი. თუ მას სემესტრში ექნებოდა 3 ასეთი საგანი და ამას ემატებოდა სააუდიტორიო მუშოაბაც მისი მოსაზღებით შესაძლოა სტუდენტები ზედმეტად ყოფილიყვნენ გადატვირთულნი.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ სემესტრში მხოლოდ 3 ათვრედიტიანი საგანი ეძლეოდათ სტუდენტებს. ამასთანავე სტუდენტები ხშირად ეკონტაქტებოდნენ ლექტორებს შაბათობით და დამატებითად მეცადინეობდნენ.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ლიტერატურაში წარმოდგენილი იყო ნაჩნიასის სახელმძღვანელო და კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. ბუნებრივია დაწესებულების გადასაწყვეტი იყო, თუმცა გავრცელებული პრაქტიკით მოცემულ სახელმძღვანელოებზე 10 კრედიტი თითქმის არსად არ გამოიყენებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო რას უმატებდა მოცემულ ლიტერატურას თავად დაწესებულება.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ როგორც იკვეთებოდა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებიდან სპეციფიკა იყო სტილი, ზემოთ ახსნილი სწავლების მეთოდი ნაწილობრივ ატარებდა აკადემიური წერის კურსის ფუნქციებსაც. თუ ეს ასე იყო, მაშინ საჭირო იყო ეს სინთეზი გამოჩენილიყო ცხადად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსში გაწერილი იყო თემები და ქულებიც. მაგალითად მეხუთე კვირაში ისწავლებოდა ლიტერატურის მიმოხილვა. ბუნებრივია აკადემიური წერის არსებობა ცალკე მისღები იქნებოდა, თუმცა კურსი გამოდიოდა საქართველოს რეალობიდან. აյ ხდებოდა არამხოლოდ იმის ახსნა რა გამოიყენებოდა კვლევაში, არამედ იმის ახსნაც რა შემთხვევაში გამოიკენებოდა კონკრეტული მეთოდი.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ გასაგები იყო დაწესებულების მიდგომა, თუმცა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ 10 კრედიტიანი კურსებით ხდებოდა 5-6 კრედიტიანი კურსების ჩანაცვლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ვერ ხედავდა განსხვავებას 3 ათვრედიტიან თუ 5 ნკრედიტიან კურსს შორის რომელიც წარმოდგენილი იყო სემესტრში.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ეს იმას შეცვლიდა რომ სტუდენტი კვალიფიკაციას მიიღებდა უფრო მრავალფეროვანს, მეტი საგნის ხარჯზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა გამოთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე კონკრეტული საგნების დამატებას, განაცხადა, რომ სპეციალისტებთან შეხვედრის შემდგომ, მათ კურსების „მარკეტინგის მენეჯმენტი“, „სტრატეგიული მენეჯმენტი“ და „სტრატეგიული HR მენეჯმენტი“ ჩასმა პროგრამაში მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს, რადგანაც პროგრამა იყო ფინანსების მიმართულებით. სტუდენტების და კურსდამთავრებულებიც მუდმივად ითხოვდნენ მეტ კურსებს სწორედ ფინანსების მიმართულებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შემუშავებულ იქნა იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამის კვალიფიკაცია იყო ბიზნეს ადმინისტრების მიმართულებით, რაც თავისმხრივ მაგალითად მარკეტინგის სწავლების გარეშე წარმოუდგენელი მისაღწევი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ერთიმხრივ სრულიად მისაღები იყო დაწესებულების წარმომადგენლის ლოგიკა 10 კრედიტიან საგანთან დაკავშირებით. რადგან კრედიტის მინიჭებისას მნიშვნელოვანი სწორედ ის დატვირთვა იყო რაც მოდიოდა სტუდენტზე მოცემულ საგანში, თუმცა ასევე მისაღები იყო საბჭოს წევრის, დიმიტრი ჯაფარიძის ლოგიკაც. რადგანაც მსხვილ საგნებს შესაძლოა შეემცირებინანა სტუდენტისთვის შეთავაზებული საგნების მრავალფეროვნება, რაც კვალიფიკაციის მოთხოვნით გათვალისწინებულ შედეგზე გასვლისთვის ხელისშემშლელი ყოფილიყო. რაც შეეხებოდა



პრაქტიკას, რადგანაც სტუდენტები იყვნენ დასაქმებულები პროფესიით, შესაძლებელი იქნებოდა მათი პრაქტიკა კვლევებში და ნაშრომებში ასახულიყო. ის ეთანხმებოდა ექსპერტებს იმ თვალსაზრისით, რომ გასაძლიერებელი იყო მენეჯმენტის სწავლება, კურძოდ ისეთი საგნ(ებ)ის სწავლება, რომელიც კურსდამთავრებულს დაეხმარებოდა მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებაში, ჩამოუყალიბებდა ბიზნესის სტრატეგიულ ხედვას როგორც ორგანიზაციის ასევე მთლიანი ეკონომიკის დონეზე. ასევე გადასახედი იყო მიღების წინაპირობებიც, იმ შემთხვევაში თუ პროგრამა დარჩებოდა შემოთავაზებული სრუქტურით. რადგანაც პროგრამაზე მისვლა შეეძლო ყველა პროფესიის ადამიანს. ამ შემთხვევაში პროგრამა აწყობილი უნდა ყოფილიყო ისეთი შესაბამისობით, რომ როდესაც სტუდენტი გავიდოდა ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციაზე. მას არ ჰქონდა ჩავარდნა ცოდნის თვალსაზრისით ამ სფეროში. მაგალითად, საგანი - ბიზნესის სიმულაციები და ანალიზი არჩევითი საგანი იყო, რომელიც შესაძლოა სტუდენტს საერთოდ არ აერჩია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამა კონცენტრაციას აკეთებდა ფინანსებზე.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა საბჭოს თავმჯდომარისაგან ითხოვა დისკუსიაში ჩართვის უფლება. მან განაცხადა, რომ კოდის მიხედვით პროგრამა ფინანსების იყო, ხოლო სახელი ჰქონდა ბრენდული და წამოჭრილი შეხედულებებიც აქედან გამომდინარეობდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა შესაბამებოდეს კვალიფიკაციას - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, იყო თუ არა დარჩენილი პასუხები რეკომენდაციებზე დაწესებულების მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრაქტიკის შეფასება ჩაშლილი იყო რუმბრიკებში რაც როგორც ჩანდა სათანადოდ ვერ იქნა მიწოდებული ექსპერტებისათვის.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ საგანში "ბიზნეს სიმულაციები და ანალიზი" და სხვა საგნებშიც უნდა მომხდარიყო სხვადასხვა ონლაინ სიმულაციების დამატება. არსებობდა უამრავი ონლაინ სიმულაცია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გამოიყენებოდა ჰარვარდის ქეისები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ უპასუხა, რომ არც სიმულაციები და არც ჰარვარდის ნახსენები ქეისები არ იყო მითითებული სილაბუსში და რაც გამოიყენებოდა სწავლებაში უნდა ასახულიყო შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის სწავლების შეფასებაში იყო მითითება, რომ სტუდენტს უნდა გაერა ან პრაქტიკა ან ბიზნეს სიმულაციები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ინვესტიციების ანალიზზი, განსხვავებით სხვა საგნებისაგან ძირითადი ლიტერატურა იყო ქართული, რამაც გარკვეულწილად გაკვირვება გამოიწვია. ამასთანავე, საჭირო იქნებოდა ფინანსური აღრიცხვის სწავლებაც, იმის გათვალისწინებით, რომ დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე ნებისმიერი განათლების პიროვნებას იღებდნენ პროგრამაზე; ან ისეთი წინაპირობის დაწესება, სადაც გამოჩნდებოდა, რომ სტუდენტს უკვე აქვს ფინანსური აღრიცხვის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიტერატურის სახეს ლექტორი თავად განსაზღვრავდა.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა აღნიშნა, რადგან საბჭო არ ითხოვდა ექსპერებისაგან რჩევებს, უმჯობესი იქნებოდა თავად საბჭოს წევრბსაც თავი შეეკავებინათ იმ შემთხვევაში, თუ საქმე არ ეხებოდა ხარვეზს, რადგან საბჭოს შედეგად მძიმე შთაბეჭდილება ექმნებოდა.



დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქამად პროგრამას ჰყავდა 17 სტუდენტი, აქედან მხოლოდ 3 არ იყო დაწესებულების ყოფილი სტუდენტი. ყველა დანარჩებს აღნიშნული საკითხები საბაკალავრო საფეხურზე გავლილი ჰქონდა დაწესებულებაში.

18:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

საბჭოს თავმგდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელი და 6 თვე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად. ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ ცენტრმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი. დაწესებულებას სთხოვეს საბჭოს მიერ მსჯელობისას გამოთქმული რეკომენდაციების შესრულება.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭომ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად აკმაყოფილებდა პირველი სტანდარტის მოთხოვნებს.



4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	(Doctor of Business Administration)
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე განსახილების საკითხთან მიმართებაში განაცხადა აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ პკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილი იყო გადახედილიყო სასწავლო დისციპლინების კრედიტების გაანგარიშება. ძირითადად 10 კრედიტიანი საგნების კრედიტების შემცირება და მის ხარჯზე არჩევითი დისციპლინების რაოდენობის გაზრდა.
- უნივერსიტეტს უნდა სეემუშავებინა მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით კი პოტენციური დამსაქმებლების ჩართვას პროგრამის განვითარებასა და განხორციელებაში. ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტები უნდა შეთანხმებულიყვნენ იმაზე, რომ რეალურად ისინი შეიძლება იყვნენ ერთმანეთის კურსდამთავრებულების დამსაქმებლები. კადრი იზრდებოდა არამხოლოდ ერთი უნივერსიტეტისთვის.

- პროგრამას უნდა ჰქონოდა შედგენილი პროგრამის გარე შეფასების უფრო ქმედითი მექანიზმები. ამ მიზნით უპირველეს ყოვლისა უნდა განსაზღვრულიყო თუ ვინ იყო პროგრამის კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებელი.

ასევე ექსპერტმა საბჭოს წევრებს გაცნო ერთ-ერთი რჩევა:

- დოქტორანტებს მოეთხოვებოდათ სტატიების გამოქვეყნება იმ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებული იყო სამეცნიერო ბაზებში. მიზანშეწონილი იყო ამ ბაზების ჩამონათვალის შემცირება და ყველაზე ავტორიტეტულის დატოვება, როგორებიც იყო: Scopus, EBSCO, Jstore.

რაც შეხებოდა საუკეთესო პრაქტიკას, ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შთამბეჭდავი ანტიპლაგიატის პროგრამა, რომელიც პლაგიატს თვლიდა არამხოლოდ ჯამში, არამედ ერთ გვერდზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული პქონდა წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციები. მოხდა, კურსები დაემატა არჩევით ბლოკში და განახლდა ლიტერატურაც.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დამსაქმებლების ჩართულობასთან დაკავშირებთ სავარაუდოდ დაწესებულებამ სათანადოდ ვერ წარუდგინა ექსპერტებს, რომ მათ გააჩნდათ პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა ყველა მხარის ჩართულობას და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებას, რაც ყოველწლიურად აისახებოდა თვითშეფასების ანგარიშშიც. მექანიზმი მუშაობდა გამართულად და რადგანაც მასალა საკმაოდ მოცულობითი იყო, სავარაუდოა რომ ექსპერტები მას ამოწიურავად ვერ გაეცნობოდნენ და ამიტომაც დარჩა კითხვები. ვიზიტის დროს ობიექტური მიზეზის გამო დამსაქმებელთან შეხვედრის სესია გამოტოვებულ იქნა, რადგანაც დამსაქმებელი წარმოადგენდა თავად დაწესებულებაც, სადაც კურსდამთავრებულთა უმრავლესობა იყო დასაქმებული და ასევე დასაქმებულები იყვნენ უცხოელებიც, მაგალითად: პიროვნებები სომხეთიდან, რომლებმაც განათლების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში დაწესებულების განსახილველ პროგრამაზე დაიცვეს დისერტაციები და მუშაობდნენ სომხეთის ეროვნულ ბანკში. სკაიპის საშუალებით კურსდამთავრებულებთან გასაუბრება მოხერხდა, მაგრამ დამსაქმებელთან ობიექტური მიზეზის გამო გასაუბრება არ შემდგარა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამა გაგზავნილ იქნა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და ყველა რეკომენდაცია რაც მიღებულ იქნა დაწესებულებამ გაითვალისწინა. აღნიშნული ავტორიზაციის პირობებში განხორციელდა ყველა სადოქტორო პროგრამაზე და განაცხადი შეტანილ იქნა იმ სადოქტორო პროგრამებზე რომლებზე იყო განსაკუთრებულად კარგი დასკვნები. რაც შეეხებოდა კრედიტების განვითარების საკითხს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამაზე დაწესებულების ხედვით არ იყო სასურველი სტუდენტებს პქონდათ ბევრი საგნები, უმჯობესი იქნებოდა რესურსი და ენერგია დახარჯულიყო კვლევით კომპონენტზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არჩევითი კომპონენტის გაზრდა მათ არც უგულისხმიათ კვლევითი კომპონენტის შემცირების ხარჯზე.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ ექსპერტები გაეცნენ დისერტაციებს, როგორ შეაფასებდნენ ისინი დისერტაციების ხარისხს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ისინი გაეცნენ დისერტაციებს და მათი სტრუქტურის შეფასებისას ჯგუფში შენიშვნები არ გაჩენილა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას 12 სტუდენტი ჰყავდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დისერტაცია დაცული ჰქონდა 9 დოკტორანტს, რაც არც ისე ბევრი იყო და პროგრამაზე დადებითი შთაბეჭდილების შექმნის საფუძველს იძლეოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიაშვილმა განაცხადა, რომ მიღების წინაპირობებში იყო ჩანაწერი, რომ პროგრამაზე მიღებისთვის კანდიდატს განათლება მოცემული, შესაბამისი მიმართულებით უნდა ჰქონოდა. მან იკითხა, შეიძლებოდა თუ არა პროგრამაზე მიეღოთ სტუდენტი არა მოთხოვნილი განათლების მიმართულებით, მაგრამ გამოცდილებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სავალდებულო არ იყო სტუდენტს გზითნების ან ეკონომიკის მიმართულება ჰქონოდა სწავლების წინა, ორივე საფეხურზე, საკმარისი იქნებოდა მხოლოდ ერთ, რომელიმე საფეხურზე ჰქონოდა აღნიშნული მიმართულებით განათლება.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა ითხოვა ნებართვა დისკუსიაში ჩართვის. მან განაცხადა, რომ სპეციალიზაციაში სემინარები იყო - მენეჯმენტში - ორგანიზაციული თეორია, მარკეტინგში - მოხმარებლის ქცევა და ფინანსებში - კორპორაციული ფინანსები, თუმცა მან ვერ ნახა ახსნა რატომ იყო არჩეული კონკრეტულად ეს მიმართულებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაკვირვების საფუძველზე წლების განმავლობაში სემინარების არჩევა სტუდენტების მიერ ხდებოდა ამ მიმართულებებით. მომავალში ინტერესების ცვლილების კვალდაკვალ სემინარები შესაძლოა დამატებულიყო კიდეც. თავდაპირველად პროგრამაში იყო სხვა სემინარებიც, მაგრამ მათ მიმართ ინტერესის არარსებობის ფონზე მოხდა მათი ამოღება პროგრამიდან.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განუცხადა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ კონკრეტულად იმ საგანს, რომელსაც იგი კითხულობდა წინაპირობა არ ჰქონდა, მისი წამიროდგენით და კონტენტის გათვალისწინებით წინაპირობა აუცილებელი იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამ შემთხვევაში სემესტრის გათვალისწინებით იგულისხმებოდა, რომ სტუდენტს მრავალფაქტორიანი ანალიზი უკვე გავლილი ექნებოდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ დაგეგმილი შეიძლებოდა ნამდვილად ყოფილიყო ნახსენები ლოგიკით, თუმცა წინაპირობა საჭირო იქნებოდა, რადგან მაგალითად სტუდენტს შესაძლოა აკადემიური შეებულება ჰქონოდა აღებული გასული სემესტრის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ლიტერატურად გამოყენებული იყო კვლევითი სტატიები, თუმცა მითითებული იყო წიგნის თავებიც, რაც მისი აზრით სასურველი იქნებოდა გადატანილიყო რეკომენდირებულ ლიტერატურაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის საკითხი იმაზე იყო დამოკიდებული თუ როგორ იყენებდა მას თავად ლექტორი, თუმცა სიახლის დანერგვა შესაძლებელი იყო.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ სემინარი მოცემული იყო სამი მიმართულებით. კარგად იყო ჩამოყალიბებული როგორ უნდა მომზადებულიყო დისერტაცია, თუმცა უმჯობესი იქნებოდა თუ სახელი ერქმეოდა “სამეცნიერო წერის ტექნიკა” ვიდრე სემინარი, რადგან სემინარი ქმნიდა განცდას, რომ სწავლება წარიმართებოდა კონკრეტული მიმართულებით, მაგალითად მენეჯმენტის ან სხვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ეთანხმებოდა საჭირო წევრს რომ შესაძლოა აღნიშნული საინტერესო გამოსულიყო. თუმცა აღნიშნა, რომ მიმართულებები სემინარებში იყოფოდა და სწავლება ერთიანი სახით არ ხდებოდა.



19:38 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო
პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2
პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის,
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით
დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის
პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი
ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი)
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭომ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა
შესაბამისობაში იყო პირველი და მეტეთე სტანდარტის მოთხოვნებთან.

19:45 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული

მდივანი
ნინო ჩანადირი